



## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №1  
2017 წლის 10 იანვარი  
ქ. სენაკი

### სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველომ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტებისათვის მიიღო დაფინანსება, აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა მუნიციპალიტეტებისათვის შეისყიდა კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანები და ნარჩენების კონტეინერები. აღნიშნული ქონების საფასური გადახდილი უნდა იქნეს ფონდისთვის მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამდენად სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენს 428,643 (ოთხასოცდარვაათას ექვსასორმოცდასამი) ლარს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის სახელით ს.ს.ი.პ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 428,643 (ოთხასოცდარვაათას ექვსასორმოცდასამი) ლარის ოდენობით სესხის აღებასთან დაკავშირებით შემდგომში ნაგავმზიდი მანქანების (ორი) და სანაგვე ურნების (100 ცალი) შესაძენად.
2. ამ განკარგულების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №58 განკარგულება - „სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მ/შ

ბადრი კალანდარიშვილი